MES 8 21 0000763725

03/08/2021

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N320701/01/44-8
(სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" და შპს ოთ-მა ფურნიტურე-ს შორის 2021 წლის 17 მარტს გაფორმებულ N320701/01/44 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ)
CON210000007-00001

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ფუნქციათა შემსრულებლის გიორგი შალუტაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს ოთ-მა ფურნიტურე (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის იაგორ ნერგაძის სახით, მხარეთა შორის 2021 წლის 17 მარტს გაფორმებული N320701/01/44 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-12 მუხლის, სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" დირექტორის პირველი მოადგილის საკურატოროს (პროექტების მართვის, საქმისწარმოების და ლოჯისტიკის დარგში) 2021 წლის 30 ივლისის N758006 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით შევთანხმდით შემდეგზე:

აღწერილობითი ნაწილი:

2021 წლის 17 მარტს გაფორმებული N320701/01/44 ხელშეკრულების საფუძველზე, შპს ოთ-მა ფურნიტურე ახორციელებს სასკოლო მერხებისა და სკამების მიწოდებას, ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2 006 472.00 ლარს. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადად განსაზღვრულია 2 ეტაპი: პირველი ეტაპი, 18 095 კომპლექტი - არაუგვიანეს მიმდინარე წლის 30 ივლისი, საჯარიმო სანქციების გამოყენებით და მეორე ეტაპი, 8 065 კომპლექტი - არაუგვიანეს მიმდინარე წლის 31 აგვისტო.

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" დირექტორის პირველი მოადგილის საკურატოროს (პროექტების მართვის, საქმის წარმოების და ლოჯისტიკის დარგში) 2021 წლის 30 ივლისის N758006 სამსახურებრივი ბარათით დინდება, რომ მიმდინარე წლის 29 ივლისის N754116 წერილით მიმწოდებელმა კომპანიამ მომართა სააგენტოს და ითხოვა მერხებისა და სკამების მოწოდების ვადის გაზრდა საჯარიმო სანქციების გამოყენებით.

სააგენტოს შესაბამისმა სამსახურმა განიხილა აღნიშნული საკითხი და მიზანშეწონილად მიიჩნია მერხების მიწოდების პირველი ეტაპისთვის განსაზღვრული ვადის გაზრდა მიმდინარე წლის 10 სექტემბრის ჩათვლით, საჯარიმო სანქციების გამოყენებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

1. მიმწოდებელ კომპანიას მხარეთა შორის 2021 წლის 17 მარტს გაფორმებული N320701/01/44 ხელშეკრულების დანართი N2-ით გათვალისწინებული მერხების მიწოდების პირველი ეტაპისთვის განსაზღვრული ვადა გაეზარდოს მიმდინარე წლის 10 სექტემბრის ჩათვლით, საჯარიმო სანქციების გამოყენებით.
2. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები დარჩეს უცვლელი.

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" დირექტორის ფუნქციათა შემსრულებელი გიორგი შალუტაშვილი

(ხელმოწერა)

შპსო ოთ-მა ფურნიტურე-ს დირექტორი
იაგორ ნერგაძე

(ხელმოწერა)

Iagor Nergadze 03001016237

Digitally signed by Iagor Nergadze
Date: 2021.08.03 15:05:26

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო დირექტორის პირველი მოადგილე შალუტაშვილი გიორგი

MES 4 21 0000758006

30/07/2021

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს დირექტორის ფუნქციათა შემსრულებელს
ბატონ მამია მორალიშვილს

ამავე სააგენტოს პროექტის მენეჯერის
თამარ ნაცვლიშვილის

სამსახურებრივი ბარათი

ბატონო მამია,

მიმდინარე წლის 29 ივნისს სააგენტოში შემოსულია შპს "ოთ-მა ფურნიტურეს" N754116 წერილი, რომლითაც შემოტანილია 17 მარტს გაფორმებული N320701/01/44 ხელშეკრულების ფარგლებში მერხებისა და სკამების გარკვეული რაოდენობის მიღება-ჩაბარებები, ხოლო დარჩენილ, პირველ ეტაპზე მოსაწოდებელ რაოდენობაზე ითხოვს მოწოდების ვადის გადავადებას 10 სექტემბრის ჩათვლით.

შესაბამისად მიზანშეწონილია, კომპანიას საჯარიმო სანქციების გამოყენებით გადაუვადდეს მერხებისა და სკამების პირველი ეტაპის მოწოდება 10 სექტემბრის ჩათვლით;

გთხოვთ, დაავალოთ შესასაბამის სამსახურს შეთანხმების გასაფორმებლად საჭირო ღონისძიებების გატარება.

პატივისცემით,

პროექტის მენეჯერი
ნაცვლიშვილი თამარ